Sermon 23.05.2021- (georgian)

განსაკუთრებული კაცთმოყვარე

ღვთისმსახურების დროს ჩვენ ხშირად მივმართავთ კაცობრიობას რომლებსაც ღმერთი ავლენს კაცობრიობასთან ურთიერთობაში სამყაროს შექმნის დღიდან დღევანდელ დღემდე. ეს გვაიძულებსბავივსოთ სიმხნევით და მივმართოთ ღმერთს, მიუხედავად ჩვენი ცოდვით დაცემისა და ძალას გვაძლევს მივმართოთ მას ჩვენი თხოვნებით. ღვთისმსახურებისას მე-3-ე ანტიფონის ბოლოს მღვდელი ამბობს: უფალო, ჩვენ გთხოვთ ამ ყველაფერს, ,,რამეთუ კურთხეული და კაცთმოყვარე ღმერთი ხარ." მსგავსი თხოვნები ჩვენ შეგვიძლია მოვისმინოთ ლოცვების ბოლოს ყველა ღვთისმსახურების დროს: ,,რამეთუ მოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთი ხარ."

ის, როგორი სახითაც ღმერთმა მოუვლინა კაცობრიობას თავისი უსაზღვრო კაცთმოყვარეობა, მოგვითხრობს ბასილი დიდი ღვთისმსახურებისას წმინდა ამაღლების ლოცვაში. წმინდანი იხსენებს ყველაფერს, რაც მოიმოქმედა უფალმა იმ დროიდან, როცა შექმნა ადამიანი ,,ხატად" თავისად და დაამკვიდრა სამოთხეში, სადაც შეეძლო მას დამტკბარიყო ყოველივეთი, რაც ღმერთმა შექმნა თუმცა-ღა, როდესაც ადამიანი დაშორდა ღმერთს, მან არ მიატოვა იგი, არამედ მასთან იყო ,,გულმოწყალე გულმოწყალეობის გამო." იგი უგზავნიდა წინასწარმეტყველებს, რათა მათით ეცნობებინა მოსალოდნელი ხსნის შესახებ, ,,ანგელოზი მოუვლინა მცველად," ხოლო როდესაც მოსალოდნელმა დრომ მოუწია, მოავლინა თავისი მხოლოდშობილი ძე რათა მსხვერპლად შესწირვოდა და ებოძა ადამიანისთვის სამუდამო ცხოვრება და გაეცოცხლებინა იგი თავისი წმინდა ხორცითა და სისხლით.

ადამიანის მიმართ გამოვლენილი საღვთო სიყვარული ურიცხვია და ეს არა მარტო საერთო კეთილგანწყობაა, რომელიც მთელ კაცობრიობას ეხება. ღმერთის კაცთმოყვარეობა ეხება თითოეულ ადამიანს. ამის მაგალითი-უძლურის განკურნებაა რომელიც იხსენიებოდა დღევანდელ სახარებაში. უფალი მიდის იერუსალიმში იმ ადგილას, სადაც ბევრი ავადმყოფი იმყოფებოდა: ბრმები, კოჭლები, განრღვეულები. ყველანი ისინი იმედოვნებდნენ სასწაულებრივ განკურნებასა და ცდილობდნენ პირველები შესულიყვნენ აბაში, მის მერე, როცა ღვთის ანგელოზი ,,აამღრევდა" წყალს (ინ.5,1-4). ყველა ავამდყოფებისაგან იესომ გამოარჩია ერთი უძლური, რომელიც აგერ უკვე 38 წელი იყო იტანჯებოდა თავისი ავადმყოფობისაგან. არ იყო არც ერთი ადამიანი, ვინც დაეხმარებოდა ამ უბედურ ადამიანს განკურნებაში. თუმცა-ღა ახლა მის გვერდით აღმოჩნდა თავად ღმერთკაცი ამის შესახებ ჩვენ უნდა გვახსოვდეს და იმ დროს, როდესაც თავს ვგრძნობთ ეულად და დავიწყებულად. ,,მამამან ჩემმან და დედამან ჩემმან დამაგდეს მე, ხოლო უფალმა შემიწყნარა მე" (ფს.26,10)-ამბობს მედავითნე. ასე დაემართა უძლურსაც. უფალი მივიდა მასთან და დაეხმარა, არა ისე რასაც იგი ელოდა, არამედ სხვა სასწაულებრივი გზით. შთამბეჭდავია ის, თუ როგორ მოქმედებს ღმერთი ადამიანთა მიმართებაში, მაშინაც კი როდესაც მას სურს დაეხმაროს. იესოს ქმედება მოულოდნელი არ არის. იგი პატივს სცემს

თავისუფლებას, ღმერთის მიერ მინიჭებულს ადამიანისადმი. ნათელი იყოს, რომ უძლური იმყოფებოდა ბეთეზდაშე, იმედი ჰქონდა განკურნებულიყო: იესომ, რა თქმა უნდა იცოდა ამის შესახებ მაგრამ მიუხედავად ამისა, მან იმ წამსვე არ განკურნა იგი და რომ გაეღვიძებინა ამის სურვილი ავადმყოფში, იესომ ჰკითხა: ,,გნებავსა, რათა განიკურნო?" (ინ.5,6). და როდესაც მისგან თანხმობა მიიღო, უფალმა არა მარტო განკურნა ავადმყოფობისაგან, რომლის გამოც ადამიანი პარალიზებული იყო, არამედ მისცა ძალა ფეხზე წამოდგომისა, თავისი ქვეშაგების აღების და სიხარულისა (ინ.5,7-9).

ასეთია უფალი და ღმერთი ჩვენი, მისი კაცთმოყვარეობა უსასრულოა. არც ერთ ჩვენს კეთილმორწმუნეს არ შეუძლია მიაღწიოს მისი კაცთმოყვარეობის სიმაღლეს რადგან უფალს არა მარტო ვუყვარვართ, როგორც არავის სხვას, არამედ აქვს ძლევამოსულება გაგვიწიოს დახმარება იქ, სადაც სხვა უძლურია. ჩვენი უფალი განსაკუთრებული კაცთმოყვარეა, მფარველია ჩვენი არა მარტო მიწიერ ცხოვრებაში, არამედ სამუდამოშიც.

ძვირფასო ძმებო და დებო! კაცთმოყვარე ღმერთი ყოველთვის ისწრაფვის დაგვეხმაროს ჩვენ. მედავითნე უგალობს: ,,წყალობა შენი, უფალო, თანამამავალ მეყავნ მე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, დამკვიდრებად ჩემდა სახლსა უფლისასა" (ფს.22,6). არასოდეს დაგვავიწყდეს ამის შესახებ თუმცა-ღა, ყველას რომ შეეძლოს კეთილმოწყალე იყოს ჩვენს მიმართ, მას სჭირდება ჩვენი თანხმობა: ეს პასუხობს ყველას, ვინც კითხულობს: ,,თუ ღმერთი ყველაფრის შემძლეა და ყველაფრის შესახებ იცის, რატომ არ გვეხმარება? რატომ უნდა ვთხოვო რამის შესახებ მას ჩემს ლოცვებში?" რა თქმა უნდა უფალმა ყველაფერი იცის. მაგრამ მოდით კიდევ ერთხელ გავიმეოროთ და არ დაგვავიწყდეს უფალი გველოდება, რომ ჩვენ თავად მივმართავთ მას ყველა საჭიროებისას, რომ ჰქონდეს ამის გამო მას ჩვენი თანხმობა. უფალი თავად მოგვიწოდებს ამისკენ: ,,ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ" (მათე 7,7).

ეს იმას ნიშნავს, რომ როცა ჩვენ თავად მივმართავთ მას ლოცვაში, ჩვენ არ უნდა გვქონდეს იმის განცდა, რომ უფალი მკაცრია, რომელიც აუცილებლად დაგვსჯის ჩვენ ჩვენი ცოდვების გამო, რომლისთვისაც უნდა ვილოცოთ და მიტევება და დახმარება ვითხოვოთ. უფალმა იცოდა, რომ უძლურის ავადმყოფობის მიზეზი მისის ცოდვები იყო. მიუხედავად ამისა, მან ისურვა განეკურნა იგი. უფლის კაცთმოყვარეობა აღმატებულია მის სამართლიანობაზე. როგორც ნათქვამია საღამოს ლოცვაში: უფალი ჩვენი ,,ძლიერია მოწყალებაში, და კეთილია დახმარებაში, და ნუგეშისმცემელია და მხსნელია ყველასთვის ვინც მიენდობა მის წმინდა სახელს."

ძმებო და დებო, მოდით ვიგრძნოთ ღმერთსა და ჩვენს უფალში უდიდესი კეთილისმყოფელი. და იმ გრძნობით, რომ მას ვუყვარვართ, როგორც სხვას არავის, და ეძებს შესაძლებლობას ხელი შეგვიწყოს ჩვენ, მოდით შეურყეველი რწმენით მივმართოთ მას ყველა საჭიროების შემთხვევაში, სიხარულითა და მადლიერებით განუწყვეტელ კავშირში ვიყოთ ჩვენს კაცთმოყვარე უფალთან.